შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი

2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიში

გორი/2024

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის (შემდგომში კოლეჯი) სტრატეგიული გეგმის შესაბამისად გაწერილი 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს. მონიტორინგის მიზანია, კოლეჯის მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის შესაბამისად, უზრუნველყოს თანამშრომელთა მიერ სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანათა შესრულების ანგარიშგება. საანგარიშო პერიოდში ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და ძირითადი მიგნებებიდან გამომდინარე კოლეჯის გაუმჯობესებაზე ზრუნვა. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და ინფორმაციის შეგროვების მიზნით კოლეჯის ხარისხის მენეჯერის მიერ, მონიტორინგის პერიოდში, სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ თითოეულ პასუხისმგებელ თანამშრომელს გადაეგზავნა სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ფორმა, სადაც უშუალოდ პასუხისმგებელი პირები ახდენდნენ მათ მიერ შესასრულებელი ამოცანების სტატუსის შესახებ ანგარიშგებას. მონიტორინგის პროცესი ჩატარდა ვადების გათვალისწინებთ და მასში იყო ჩართული კოლეჯის ყველა თანამშრომელი.

შეფასება

მონიტორინგის შედეგად კოლეჯის თანამშრომლებმა წარმატებით გაართვეს თავი დასახული ამოცანების შესრულებას. სამოქმედო გეგმით გაწერილ ამოცანები სრულად შესრულდა, არ იკვეთება არც ერთი შეუსრულებელი ამოცანა, ან დაუძლეველი დაბრკოლება. (იხილეთ დანართი N1)

კოლეჯის შიდა მექანიზმებზე დაყრდნობით ჩატარებული შეფასება დადასტურდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით MES 7 23 0001776330 28/12/2023 , რომლის საფუძვლადაც კოლეჯმა წარმატებით გაიარა ავტორიზაცია 6 წლის ვადით.

დანართი N1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ამაგის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

მიზანი	ამოცანა	აქტივობა	თვეები												ანგარიში	მტლიცებულება
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII		
1. კოლეჯის ინფრასტრუქტურის, მატერიალური და საინფორმაციო რესურსის განვითარება;	1.1.კოლეჯის ინფრასტრუქტურის განახლება/ გაუმჯობესება თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად	კოლეჯის ინვენტარიზაცია										x	x	x	კოლეჯის საინვენტარიზაციო კომისიამ "საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 06 თებერვლის N70 ბრძანებულების შესაბამისად ჩაატარა ინვენტარიზაცია.	სამს.ბარათი 16585; ფაქტობრივი მდგონარეობა;
		სარემონტო სამუშაოების ჩატარება													სამოქმედო გეგმის შესაბამისად გარემონტდა კოლეჯის საკონფერენციო დარბაზი,უსაფრთხოების სამსახურის ოთახი. განახლდა განათების სისტემა, მოწესრიგდა ელექტრო გაყვანილობის სრული სისტემა. ადაპტირდა სივრცე არქივისთვის. მოეწყო c სასწავლო გარემო დენტალური საქმის ასისტირების (სტომატოლოგის ასისტენტი) პროგრამისათვის,შეძენილ იქნა ავეჯი და გარემონტდა გარემო.	სამს.ბარათი 6058 5041 5259 6057 5997 5888 5871 5477 4562; ფაქტობრივი მდგომარეობა;
		კოლეჯის სივრცის გაუმჯობესება													კოლეჯში განახლდა და გაუმჯობესდა პანდუსები, რომელიც განთავსდა საევაკუაციო გასასვლელთან, საკონფერენციო დარბაზთან და ბიბლიოთეკასთან;	სამს.ბარათი 6337 მომსახურების ხელშეკ.15,04,2023; ფაქტობრივი მდგომარეობა;
	1.2პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება/გაუმჯობესება მოთხოვნების შესაბამისად	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მდგომარეობის მონიტორინგი					x				x				კოლეჯის დირექტორის ბრძანებით შექმნილმა სამუშაო ჯგუფებმა შეაფასეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით მატერიალური ტექნიკური ბაზა. თითოეულმა ჯგუფებმა, (საექთნო განათლება, ფარმაცია (სააფთიაქო),ვეტერინარია, დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი) მოახდინა აღწერა სასწავლო გარემოებების (A; B; A/C).	ოქმი; სამსახურეობრივი ბარათი N 2436; ფაქტობრივი მდგომარეობა.

		საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის სრულყოფა			x	x					x	x			კოლეჯის ხარისხის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად ჩატარდა მონიტორინგი, საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის სრულყოფის მიზნით. მონიტორინგმა გამოავლინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის შემდეგი შესაძენი რესურსი: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია (სააფთიაქო) 6 სასწავლო რესურსი, რისი შეძენაც მოხდა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ვეტერინარია 6 სასწავლო რესურსი, რისი შეძენაც მოხდა. პროფესიული საგანმანათლებოლო საექთნო განათლების პროგრამის მოდულიინფექციის კონტროლის საფუძვლების განხორციელებისთვის საბიბლიოთეკო ფონდს დაემატა 25 სასწავლო რესურსი. აღნიშნული სასწავლო რესურსი დამუშავებულია ბიბლიოთეკის დებულების თანახმად და განთავსებულია სამკითხველო დარბაზში. საანგარიშო პერიოდში კოლეჯის ბიბლიოთეკარი პროფესიულ სტუდენტებს და პედაგოგებს ემსახურება სასწავლო რესურსით.	საბიბლიოთეკო სასწავლო რესურსი შეძენილი რესურსი ელ0740762410 ელ-0746319552 ელ0749464061; ფაქტობრივი მდგომარეობა;
		პროგრამების შესაბამისად მასალა-ნედლეულის შესყიდვა	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	x	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნის შესაბამისად ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის მატერიალური მასალა ნედლეულის შეძენა;	სამს.ბარათი 5704 5986 5772 5704 4707 4552 4514 ელ-0725687319 ელ-0727740355 ელ-07348775895 ელ-0746643859 ელ-0725751436 ელ-0733749688 ელ-0739288107 ელ-0745980538 ელ-0736094405 ელ-0738330482 ელ-0745980537 ელ-07446337735

	1.3 კოლეჯში უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა	შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს მიწერილობის გამოსწორება			x	x	x	x							გამოსწორებულ იქნა შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის პრევენციისა და რეაგირების სამმართველოს მიწერილობა;	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან წერილი N MOIA01544282 ხელშკ.N-T 38/05 მიღებაჩაბარება01, 06,2023წ; ფაქტობრივი მდგომარეობა.
		საჭიროებების იდენტიფიცირება უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად						x							კოლეჯის შენობაში განხორციელდა ფიზიკური ფაქტორების შეფასება, პროფესიული რისკ-ფაქტორების შეფასება (მიკროკლიმატი , ფარდობითი ტენიანობა ჰაერის მოძრაობის სიჩქარე, ხელოვნური და ბუნებრივი განათება, ნახშირორჟანგი,ჰიგიენური შეფასება , დასკვნებისა და პროფილაქტიკური ღონისძიებების შემუშავება, ტენიანობის შეფასება)	სამსხ.ბარათი 6095 დასნვლის დოკუმენტი ხელშეკ.მომსახურებაზე 10,06,2023, მიღება-ჩაბარება 26,06,2023 ელ-0745980537; ფაქტობრივი მდგომარეობა..
		რისკების შეფასება (საჭიროების ამებრ)არაუგვიანეს ექვსთვეში ეთხელ						x						x	კოლეჯის შრომის უსაფრთხოების თანამშრომლის მიერ განხორციელდა რისკების შეფასება, გამოკვეთილი საფრთხეები აღმოიფხვრა შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ	რისკების შეფასება N165 რისკების შეფასება N4263
	1.4.საინფორმაციო ტექნოლოგიების და საკომუნიკაციო საშუალებების გაუმჯობესება/განვითარება	კომპიუტერული ბაზის, ტექნიკის, ქსელის და ტექნიკური საშუალებების გაუმჯობესება			x			x			x			x	განახლდა და დაემატა კომპიუტერული ტექნიკა 5 ცალი , კოლეჯის შენობაში ვიზუალური ტექნიკა დაემატა სათვალთვალო კამერები 12 ცალი, რომელიც განთავსდა შიდა და გარე პერიმეტრზე.	სამ.ბარათი 6398 6264 5706 ელ-0727875133 ელ-0735234605 ელ-0737742219 ელ-0745980537; ფაქტობრივი მდგომარეობა.

მიზანი	ამოცანა	აქტივობა	თვეები												ინდიკატორი	
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII		
2 . პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება	2.3.შრომის ბაზრისა და საზოგადოების მოთხოვნების გათვალისწინებით ახალი პროფესიული საგანმანათლებლო, მოკლე ციკლის,გადამზადების და/ან სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება და დანერგვა	მომზადება გადამზადების მოკლე ციკლის სასერთიფიკატო პროგრამების მომზადება										X	X	X	შრომის ბაზრის მოთხოვნათა კვლევის ანალიზის საფუძვლად და კოლეჯის დირექტორის ბრძანებით (N 00002837 28/03/2023) შექმნილი ჯგუფის მიერ შემუშავებულ იქნა პროფესიული მომზადების სასერტიფიკატო პროგრამა: გერიატრიის ასისტენტი და წარედგინა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტს.	e.vet.emis.ge დირექტორის ბრძანება № 00016607 26/12/2023
	2.5. ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე	კვლევის ორგანიზება				X	X								შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით კოლეჯმა ჩაატარა მოკლევა. დოკუმენტის მომზადებისას კოლეჯმა მოიძია ქვეყნის მასშტაბით არსებული კვლევები, ასევე ჩაატარა დამსაქმებელთა გამოკითხვა წინასწარ შემუშავებული კითხვარის მეშვეობით. შრომის ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებთ კოლჯმა დაგეგმა საექთნო განათლების პროფესიულ პროგრამაზე გაზარდოს ზღვრულ ოდენობა.	კვლევის შედეგები; მიზანშეწონილობის ანგარიში.
		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა									X				პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით საექთნო განათლების პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამის კვოტა განიზაზღვრა 105 ით, ზღვრული ოდენობა გაიზარდა 20 % ით	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 7 23 0001776330 28/12/2023.
	2.6. ეფექტური მექანიზმების განვითარება კოლეჯის მიერ განხორციელებული პროგრამების ადმინისტრირების თვის	სასწავლო განრიგის (ცხრილი) ხელმისაწვდომობა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის მიზნით კოლეჯში ხორციელდება კვირეული სასწავლო ცხრილების ხელმისაწვდომობა პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის და პროფესიული სტუდენტებისატვის. სასწავლო ცხრილები თავსდება facebook დახურულ ჯგუფებში და კოლეჯის საინფორმაციო დაფაზე.	სასწავლო ცრილი; ფაქტობრივი გარემოება;

	სასწავლო პროცესის კონტროლი	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	კოლეჯში ხორციელდება სასწავლო პროცესის კონტროლი; კერძოდ, ყოველდღიურად მოწმდება სასწავლო საგაკვეთილო პროცესში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა. ხდება პროფესიული სტუდენტების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციისათვის, პროფესიული სტუდენტთა ჯგუფური მუშაობისათვის შესაბამისი სივრცეების გამოყოფა,სასწავლო პროცესზე დასწრება და მონიტორინგი. ასევე მიმდინარეობს კონტროლი და შემოწმება პროფესიული განათლების მასწავლებლების დასწრების და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.ხდება პროფესიული განათლების მასწავლებლების გაკვეთილზე დაგვიანებაზე/გაცდენაზე რეაგირება.სასწავლო გეგმის შესაბამისად, პროგრამების ხელმძღვანელთან ერთად ხდება შეხვედრების მოწყობა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან პროგრამების ამოცანების, მიზნებისა და მოსალოდნელი შედეგების გაცნობის მიზნით.	პროფესიული სტუდენტების დასწრების ჟურნალი; პროფესიული მასწავლებლის დასწრების აღრიცხვის ჟურნალი;
	მასწავლებელთა დატვირთვების მომზადება							X	X					2023-2024 სასწავლო წლის პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა შემუშავდა სასწავლო პროცესის მენეჯერის მიერ , კოლეჯში შემუშავებული შრომის მარეგულირებელი დოკუმენტებისა შესაბამისად.	სამსახურეობრივი ბარათი: № 00008534 დირექტორის ბრძანება 2023 წლის 01 სექტემბრის N8555
	კალენდარული გეგმების კონტროლი	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	პროფესიული განათლების მასწავლებელთა მიერ ხორციელდება სასწავლო კალენდარული გეგმების შედგენა, რომლის კონტროლს ახორციელებს პროგრამის ხელმძღვანელი და სასწავლო პროცესის მენეჯერი. სასწავლო წლის დაწყებამდე პროფესიულ მასწავლებლებთან კოორდინაციით ხორციელდება კალენდარული გეგმის შედგენა, სწავლების მეთოდებზე, აქტივობებზე, შესაბამის გარემოს შერჩევა გამოყენებაზე, საათების თემატიკის მიხედვით განაწილებაზე და სხვ.ა	პროფესიული განათლების მასწავლებელთა პორთფოლიოები
	შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება/შემოწმება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ ხორციელდება შეფასების ინსტრუმენტთა შემუშავება სასწავლო პროცესის , შესაბამისი დარგის ,პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით ხორციელდება ვალიდაციის პროცესი .	ვალიდაციის შედეგები

		პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების შეფასება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	კოლეჯი პროგრამების პრაქტიკულ ნაწილს ახორციელებს რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკის ობიექტზე, სადაც დადებული აქვს ხელშეკრულება, ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილია ინსტრუქტორი, რომელიც ახორციელებს პრაქტიკის ობიექტზე სწავლებას და შეფასებას, სასწავლო პროცესისა და პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხორციელდება მუდმივი კონტაქტი და პრაქტიკის განმახორციელებელ ინსტრუქტორებთან შეხვედრები იგეგმება როგორც ონლაინ ასევე პირისპირ რეჟიმში. კოლეჯი მუდმივად იღებს უკუკავშირს პრაქტიკის განხორციელების ობიექტიდან და ასევე პროფესიული სტუდენტებისგან გამოკითხვის გზით.	პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული კომპონენტისა და სასწავლო მასალის შეფასება გამოკითხვის შედეგები; ფაქტობრივი მდგომარეობა.
	2.7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პოპულარიზაცია	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დენტალური საქმის ასისტირების (სტომატოლოგის ასისტენტი) პროფესიული სტუდენტების ვიზიტი სკოლებში პროგრამის პოპულარიზაციის მიზნით				X	X	X	X	X					კოლეჯის თვითმმართველობის წევრებმა საინფორმაციო შეხვედრები გამართეს ქალაქ გორის მე -4. , მე-12 და მე-6 საჯარო სკოლის მოსწავლეებთან. კოლეჯის ელჩებმა გააცნეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:საექთნო განათლება, ვეტერინარია, ფარმაცია(სააფთიაქო) , დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი).	ფოტომასალა;
		სარეკლამო ბუკლეტების გავრცელება				X	X	X	X	X					2023 წლის 29 აპრილს სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან კოლეჯის წარმომადგენლების მხრიდან მოხდა სარეკლამო ბუკლეტების გავრცელება. 30 მაისს და 1 ივნისს გორის სხვადასხვა ტერიტორიებზე პროფესიული სტუდენტების და თვითმმართველობის ჩართულობით განხორციელდა კოლეჯის სარეკლამო ბუკლეტების გავრცელება. პარალელურად, კოლეჯი ამაგი მუდმივ რეჟიმში ახორციელებდა სარეკლამო ბუკლეტების გავრცელებას სხვადასხვა შეხვედრებზე რეგიონის მასშტაბით.	ფოტომასალა; ბუკლეტები;

	2.8.პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა	დაწესებულების ფინანსური მდგრადობის შეფასება												X	2023 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით კოლეჯის მიერ განხილული იქნა კვარტალური ბიუჯეტი, რის შედეგადაც გამოიკვეთა ,რომ ბიუჯეტის მუხლების შესაბამისად თითოეულ კვარტალში ხდებოდა პროფესიული პროგრამებისთვის განხორციელება.კოლეჯის მიერ ჩატარებული კვარტალური ანგარიშების გაანალიზება ადასტურებს, რომ კოლეჯის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამები ფინანსურად მდგრადია, რაც ასევე დადასტურდა ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებითაც.	სამსახ. ბარათიN1669 6 28,12,2023; კოლეჯის ბიუჯეტი; პროგრამების ბიუჯეტები; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 7 23 0001776330 28/12/2023.

მიზანი	**ამოცანა**	**აქტივობა**	**თვეები**												**ინდიკატორი**	
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII		
3. ხარისხის უზრუნველყოფა	3.1ხარისხის შიდა მექანიზმზე დაყრდნობით კოლეჯის საქმიანობის შეფასება	კვლევების ჩატარება კოლეჯის 2023 წლის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად												X	კოლეჯის შიდა ხარისხის სისტემის შესაბამისად მუდმივი გაუმჯობესება ხორციელდება შიდა და გარე ფაქტორებისგან მიღებული უკუკავშირის გაანალიზებით; 2023 წელს ხარისხის მენეჯერის ხარისხის უზრუნველყოფის გეგმით გაიწერა (დირექტორის ბრძანება № 00000239/16/01/2023) სამი ძირითადი მიზანი: 1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მიერ თვითშეფასების წარდგენა ცენტრში რეავტორიზაციის მიზნითრ(გარე შეფასება) 2. ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით ძირითადი პროცესების მონიტორინგი (შიდა შეფასება) 3. ხარისხის მექანიზმზე დაყრდნობით დამხმარე პროცესების მონიტორინგი (შიდა შეფასება)	ხარისხის მენეჯერის სამს.ბარ. 29/12/2023 № 00016737
		საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება											X		საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მოხდა კოლეჯის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება კოლეჯის შიდა მექანიზმების შესაბამისად; ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ პროგრამები შეფასდა რეკოენდაციების გარეშე;	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება MES 7 23 0001776330 28/12/2023.

	კოლეჯის პერსონალის საქმიანობის შეფასება											X	2023 წლის 25 და 26 დეკემბერს კოლეჯში ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებლების და ადმინისტრაციის თანამშრომელთა ყოველწლიური შეფასება პერსონალის მართვის 2023 წლის გეგმის შესაბამისად. შეფასება განახორციელა კოლეჯის დირექტორის 2023 წლის 20 დეკემბრის N16058 ბრძანებით შექმნილმა კომისიამ, რომელიც შედგებოდა კოლეჯის დირექტორის, დირექტორის მოადგილის და პერსონალის მართვის მენეჯერისაგან. კოლეჯში მოქმედი 54 პროფესიული განათლების მასწავლებლიდან შეფასებაზე გამოცხადდა 23 მასწავლებელი და არ გამოცხადდა 13 მასწავლებელი. 12 მასწავლებელი კოლეჯში მოდულს არ ახორციელებდა და 6 მასწავლებელიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ პერსონალს. რაც შეეხება, ადმინისტრაციის თანამშრომლებს 19 თანამშრომლიდან შეფასებაზე გამოცხადდა 18 მათგანი.	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N16667 (27.12.2023) ფაქტობრივი მდგომარეობა;
	კოლეჯის პერსონალის კმაყოფილების კვლევა											X	12 ივნისიდან 19 ივნისამდე მიმდინარეობდა კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა. ადმინისტრაციის 20 თანამშრომელს დაეგზავნა დირექტორის 2023 წლის 12 ივნისის N5722 ბრძანებით დამტკიცებული 21 კითხვისაგან შემდგარი ელექტრონული კითხვარი, რომელიც ეხებოდა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ადამიანურ რესურსებს, ნორმატიული დოკუმენტების გაცნობას, პროფესიულ განვითარებას და სხვ და ეთხოვათ ამომწურავად და ობიექტურად ეპასუხათ თითოეულ შეკითხვაზე. ანონიმურ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელმა. თანამშრომელთა100% სრულიად დაეთანხმა, რომ იცნობს საკუთარ სამუშაო აღწერილობას, იაზრებს სამუშაოს შესრულების არსს და კეთილსინდისიერად ასრულებს მას. თანამშრომელთა 95% სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ კოლეჯის მიერ მისთვის შექმნილი სამუშაო პირობები დამაკმაყოფილებელია. 12 ივნისიდან 19 ივნისამდე მიმდინარეობდა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა. პროფესიული განათლების 45 მასწავლებელს (ამჟამად კოლეჯში	

														პროფესიული განათლების 55 მასწავლებელია, თუმცა 10 მათგანი მოდულს არ ახორციელებს) დაეგზავნა დირექტორის 2023 წლის 12 ივნისის N5722 ბრძანებით დამტკიცებული 21 კითხვისაგან შემდგარი ელექტრონული კითხვარი, რომელიც ეხებოდა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ადამიანურ რესურსებს, ნორმატიული დოკუმენტების გაცნობას, პროფესიულ განვითარებას და სხვა და ეთხოვათ ამომწურავად და ობიექტურად ეპასუხათ თითოეულ შეკითხვაზე. ანონიმურ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო პროფესიული განათლების 41-მა მასწავლებელმა. მასწავლებელთა 100% სრულიად დაეთანხმა, რომ იცნობს საკუთარ სამუშაო აღწერილობას, იაზრებს სამუშაოს შესრულების არსს და კეთილსინდისიერად ასრულებს მას. თანამშრომელთა 92.7% სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ კოლეჯის მიერ მისთვის შექმნილი სამუშაო პირობები დამაკმაყოფილებელია. 2023 წლის 20 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე მიმდინარეობდა კოლეჯის ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვა. ადმინისტრაციის 19 თანამშრომელს დაეგზავნა დირექტორის 2023 წლის 12 ივნისის N5722 ბრძანებით დამტკიცებული 21 კითხვისაგან შემდგარი ელექტრონული კითხვარი, რომელიც ეხებოდა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ადამიანურ რესურსებს, ნორმატიული დოკუმენტების გაცნობას, პროფესიულ განვითარებას და სხვ და ეთხოვათ ამომწურავად და ობიექტურად ეპასუხათ თითოეულ შეკითხვაზე. ანონიმურ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელმა. თანამშრომელთა 100% სრულიად დაეთანხმა, რომ იცნობს საკუთარ სამუშაო აღწერილობას, იაზრებს სამუშაოს შესრულების არსს და კეთილსინდისიერად ასრულებს მას. თანამშრომელთა 84.2% სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ კოლეჯის მიერ მისთვის შექმნილი სამუშაო პირობები

														დამაკმაყოფილებელია. 15.8% კი ნაკლებად ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. 2023 წლის 20 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე მიმდინარეობდა კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლების გამოკითხვა. პროფესიული განათლების 43 მასწავლებელს (ამჟამად კოლეჯში პროფესიული განათლების 55 მასწავლებელია, თუმცა 12 მათგანი მოდულს არ ახორციელებს) დაეგზავნა დირექტორის 2023 წლის 12 ივნისის N5722 ბრძანებით დამტკიცებული 21 კითხვისაგან შემდგარი ელექტრონული კითხვარი, რომელიც ეხებოდა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, ადამიანურ რესურსებს, ნორმატიული დოკუმენტების გაცნობას, პროფესიულ განვითარებას და სხვა და ეთხოვათ ამომწურავად და ობიექტურად ეპასუხათ თითოეულ შეკითხვაზე. ანონიმურ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო პროფესიული განათლების ყველა მასწავლებელმა. მასწავლებელთა 100% სრულიად დაეთანხმა, რომ იცნობს საკუთარ სამუშაო აღწერილობას, იაზრებს სამუშაოს შესრულების არსს და კეთილსინდისიერად ასრულებს მას. თანამშრომელთა 97.6% სრულიად ეთანხმება მოსაზრებას, რომ კოლეჯის მიერ მისთვის შექმნილი სამუშაო პირობები დამაკმაყოფილებელია. 2.4% -ს უჭირს პასუხის გაცემა.	
3.2 ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის გარე შეფასება	სამუშაო ჯგუფის შექმნა და ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშების მომზადება	X	X	X	X	X								კოლეჯის დირექტორის ბრძანების შესაბამისად ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლებსაც მიეცათ ვადა წარმოედგინათ თვითშეფასების განაცხადი დოკუმენტაციასთან ერთად გასაგზავნად . სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობდა კოლეჯის ხარისხის მენეჯერი. ავტორიცაზიის სტატუსის მოპოვების მიზნით სამუშაო ჯგუფმა ჩაატარა 11 შეხვედრა.	დირექტორის ბრძანება № 00009596 17/10/2022 ავტ.სტან.მოპ.სამ უშ.გჯ. შეხვედრის ოქმები 911 1297 1813 2356 2939 3184 4008 4529 4912 5211

		ავტორიზაციის მიზნით ხარისხის განვითარების ცენტრში საავტორიზაციო განაცხადის წარდგენა						X							კოლეჯის ხარისხის მენეჯერის წარდგინებით სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გაიგზავნა თვითშეფასების ანგარიში დოკუმენტაციასთან ერთად;	ხარისხის მენეჯერის სამს.ბარათი № 00005564/07/06/2023
	3.3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შეფასება გარე აქტორების მიერ	კოლეჯში განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოებების დროს ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების ანალიზი									X				სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 1 აგვისტოს MES 2 23 0000949794 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება 2023 წლის 6, 7 და 8 სექტემბერს. გეგმის თანახმად ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა შეხვედრები დაწესებულების პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. **ექსპერტების დასკვნის შედეგად კოლეჯმა მიიღო შეფასება არც ერთ სტანდარტში შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს არ გამოუვლინდა ხარვეზი და შეფასდა დადებითად.** თითოეული სტადარტი შეესაბამებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტს. **კოლეჯმა წარმატებით მოიპოვა 6 წლის ვადით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლება ჯანდაცვისა და ვეტერინარიის მიმართულებით(პროფესიული პროგრამა საექთნო განათლება,ვეტერინარია, ფარმაცია(სააფთიაქო), დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი).**	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო MES 7 23 0001776330 28/12/2023

მიზანი	**ამოცანა**	**აქტივობა**	**თვეები**												**ინდიკატორი**	
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII		
4 . პროფესიულ სტუდენტთა/ მსმენელთა სერვისების განვითარება	4.1 პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის სწავლის პროცესის მხარდამჭერი	პროფესიული სტუდენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	საანგარიშო პერიოდში კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებისთვის ხდება ინფორმაციის მიწოდება მეილების საშუალებით და მათი ინტენსიურად ჩართვა,როგორც პროფესიული უნარ - ჩვევების განვითარების კუთხით	მეილი/FACEBOOK დახურული ჯგუფები; პირადი სატელეფონო

და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერა	ღონისძიებების განვითარება	ვებ-გვერდისა და მეილების საშუალებით													სხვადასხვა ორგანიზაციებისა თუ კომპანიების მხრიდან ჩატარებულ ტრენინგებსა თუ ღონისძიებებში, ასევე იმ უნარ - ჩვევების განვითარების ხელშეწყობა როგორიცაა: ტრანსფერული უნარები,მოტივაციის ამაღლება, კომუნიკაცია და სხვა. ასევე, კოლეჯის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე განთავსებულია საჭირო ინფორმაცია; სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები პროგრამების მიხედვით; ასევე ფეისბუქ ჯგუფები ადმინისტრაციის და პროფესიული მასწავლებლებისთვის;	ზარი/შეტყობინება.
		კოლეჯის იურისტის მიერ შეხვედრის ჩატარება პროფესიული სტუდენტებთან, მათი უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობის მიზნით											x		მოეწყო შეხვედრა პროფესიულ სტუდენტების თითოეული ჯგუფისთვის ცალ-ცალკე და მოხდა მათი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმების გაცნობა.	შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათები
		საბიბლიოთეკო რესურსების და მათი სარგებლობის წესების გაცნობა პროფესიული სტუდენტებისათვის											X		კოლეჯში მოეწყო შეხვედრა პროფესიულ სტუდენტების თითოეული ჯგუფისთვის ცალ-ცალკე. ბიბლიოთეკარის მიერ გაცნობილ იქნა კოლეჯის ბიბლიოთეკის სარგებლობის წესები და google classroom პლათფორმაზე იონლაინ სასწავლო რესურსი სარგებლობის შესახებ.	შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათები
		ხარისხის მენეჯერის შეხვედრა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან თემაზე კვლევის როლი											X		კოლეჯში მოეწყო შეხვედრა პროფესიულ სტუდენტების თითოეული ჯგუფისთვის ცალ-ცალკე, კოლეჯის ხარისხის მექანიზმების ძირითადი პროცესებისა და უკუკავშირის მიღების გზებზე, მის მნიშვნელობაზე.	შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათები

		პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში													
		სასწავლო პროცესის მენეჯერის შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან თემაზე შეფასების სისტემა										X		კოლეჯში მოეწყო შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან თითოეული ჯგუფისთვის ცალ-ცალკე კოლეჯის შეფასების სისტემა სასწავლო პროცესის მიდგომებისა და შეფასების სისტემის გაცნობა პროფესიულ განათლებაში.	შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათები
		პროფესიული სტუდენტთა ინფორმირება პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით		x								x		კოლეჯის ექთნის მიერ განხორციელდა კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან შეხვედრა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. მიეწოდათ ინფორმაცია, რომ კოლეჯს ჰყავს ექთანი, არსებობს სპეციალური სივრცე და ყოველგვარი შესაძლებლობა საჭიროების შემთხვევაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით. სტუდენტებმა დაათვალიერეს სამუშაო გარემო და იქნა ახსნილი, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის შემთხვევაში უნდა მიმართონ ექთანს დასახმარებლად.	შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათები; ფაქტობრივი გარემოება;
		შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის შეხვედრა პროფესიულ სტუდენტებთან თემაზე უსაფრთხო სასწავლო გარემო				x						x		კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ჩატარდა ინსტრუქტაჟი პროფესიულ სტუდენტებთან კოლეჯის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესახებამისად;	ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ფორმები; შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათები; ფაქტობრივი გარემოება;
		საევაკუაციო წვრთნა									x			კოლეჯის შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ ჩატარდა ინსტრუქტაჟი პროფესიულ სტუდენტებთან კოლეჯის საევაკუაციო გეგმის შესახებ და ჩატარდა საევაკუაციო წვრთნა.	ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ფორმები; შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათები;

	4.2 ექსტრაკურიკულური ინიციატივების მხარდაჭერა პროფესიულ სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის	შემეცნებითი ექსკურსიების მოწყობა					x	x			x	x			კოლეჯის თვითმმართველობის მიერ ორგანიზებულ იქნა შემეცნებითი ექსკურსია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში. პროფესიულმა სტუდენტებმა მოინახულეს: რაბათის ციხე, მწვანე მონაწერი და საფარის მონასტერი.	ფოტოსურათები
		პოეზიის საღამოს ჩატარება			x	x									კოლეჯის თვითმმართველობის ორგანიზებით 14 თებერვალს კოლეჯის ფოიეში მოეწყო სიყვარულის დღისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო. ღონისძიებას ესწრებოდნენ კოლეჯი ამაგის პროფესიული განათლების მასწავლებლები, პროფესიული სტუდენტები და ადმინისტრაციის თანამშრომლები. პოეზიის საღამომ ჩაიარა თბილ და სასიამოვნო გარემოში , პროფესიული განათლების მასწავლებლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა წაიკითხეს ლექსები.	შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათები
		თვითმართველობის ღონისძიება საახალწლო ღონისძიების ჩატარება												x	22 დეკემბერს კოლეჯის თვითმმართველობის წევრებისა და კოლეჯის დირექტორის ხელშეწყობით გაიმართა საახალწლო ღონისძიება. პროფესიულმა სტუდენტებმა მოამზადეს პროგრამა, რითაც წარადგინეს მსმენელის წინაშე. გაიმართა კონკურსი დაჯილდოვდნენ აქტიური პროფესიული სტუდენტები. პროფესიული განათლების სტუდენტებს შობა-ახალი წელი მიულოცეს კოლეჯის დამფუძნებლებმა ვლადიმერ სუხიშვილმა და ეკატერინე სუხიშვილმა. ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებმა ზაქარია გინტურმა, თამარ ელიკაშვილმა და მარიამ ჯოხაძემ. თვითმმართველობის ინიციატივით მოეწყო საღამო, სადაც პროფესიულმა სტუდენტებმა წაიკითხეს ლექსები, წარმოადგინეს საცეკვაო ნომრები და მუსიკალური ნომრები. კოლეჯი საზეიმო ვითარებაში კოლეჯმა გამოავლინა და დააჯილდოვა პარტნიორი ორგანიზაციები , რომლებიც 2023 წელს აქტიურად ჩართულნი იყვნენ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიმართულებით: ○ ა(ა)იპ მიუსაფარი შინაური ცხოველების ○ მართვის შიდა ქართლის ინტერმუნიციპალური სააგენტო ○ შპს ნიშა	კოლეჯის facebook გვერდზე განთავსებული ფოტო მასალა.

														○ ს.ს.ი.პ გორის გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალი ○ შპს გორმედი ○ ა(ა)იპ ,,საქველმოქმედო ფონდი ○ საქართველოს კარიტასი“ ○ შპს აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი ○ შპს ,,პსპ ‘’ ფარმა ○ სს ,,გეფა’ ○ შპს დენტალ ლენდი	
	სპორტული ღონისძიების ორგანიზება						x							პროფესიულ კოლეჯ ,,განთიადის" და კოლეჯ ,,ამაგის" სტუდენტებს შორის სპორტული შეჯიბრი გაიმართა. სტუდენტები სპორტის სხვადასხვა სახეობებსა და აქტივობებში შეეჯიბრნენ ერთმანეთსვე.თამაშის ბოლოს სტუდენტებს გადაეცათ მადლობის სიგელები.გამარჯვება მოიპოვა კოლეჯი ამაგის სტუდენტებმა და გადაეცათ თასი	შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათები
4.3 პროფესიულ სტუდენტთა თვითმმართველობის ორგანოს ფუნქციონირების ხელშეწყობა და წახალისება	თვითმართველობის ღონისძიება ექთნის დღესთან დაკავშირებით					x								კოლეჯის საექთნო განათლების პროფესიულმა სტუდენტებმა ექთნის საერთაშორისო დღე აღნიშნეს. კოლეჯში მოეწყო გამოფენა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საექთნო განათლების პროფესიული სტუდენტების ხელნაკეთი ნივთების	შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათები
	თვითმართველობის ღონისძიება ფარმაცევტთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით									x				კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა ფარმაცია(სააფთიაქო) სტუდენტებმა საზეიმო აღნიშნეს ფარმაცევტის საერთაშორისო დღე. პროფესიულმა სტუდენტებმა წარადგინეს პრეზენტაციები შემდეგ თემებზე: ◈ ფარმაციის განვითარების გზა საქართველოში და სხვა ქვეყნებში ◈ სამკურნალო მცენარეები ◈ მომხმარებლისა და ფარმაცევტის კომუნიკაცია სხვადასხვა ენაზე ღონისძიების ბოლოს მოხდა ტორტის საზეიმოდ გაჭრა.	შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათები
	კონფერენცია სტომატოლოგთა დღესთან		x											კოლეჯში ჩატარდა სტომატოლოგთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილო ღონისძიება. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს მასშტაბის სხვადასხვა სტომატოლოგიური კლინიკის წარმომადგენლები.	ოქმი; ფოტო მასალა იხ.ლინკი https://www.youtube.com/watch?app=desktop&v=F4

		დაკავშირებით												კოლეჯის წარმომადგენლებმა დამსწრე საზოგადოებას მიულოცეს სტომატოლოგთა დღე.ღონისძიებაზე დაჯილდოვდნენ ღვაწლმოსილი სტომატოლოგები გოგი გურგენიძე და ვიოლა ჭეღელიძე, რომელიც მოგვაწოდა ჯანდაცვისა და უფლებათა დაცვის ლიგის წარმომადგენელმა. კოლეჯის დენტალური საქმის ასისტირების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა ირინა ბერკაცაშვილმა მადლობა გადაუხადა ღვაწლმოსილ სტომატოლოგებს, სტომატოლოგიურ დარგის ერთგული სამსახურისათვის. ღონისძიება საზეიმო ტორტის გაჭრით დასრულდა. კოლეჯის მიერ მოწვეულ იქნა neotv (online ტელევიზია) რომელმაც გააშუქა აღნიშნული ღონისძიება და სიუჟეტი განთავსდა youtube პლატფორმაზე.	Zzq0n6Lko&embeds_euri=https%3A%2F%2Fneotv.ge%2F&source_ve_path=MjM4NTE&feature=emb_title&fbclid=IwAR2ZFXlsvAyreUz5XTZqfuqq3Q2wgHmLT4dnnlr6rLJNh4WM9ssSsxLc1 Q
		თვითმართველობის ღონისძიება ცხოველთა დაცვის დღესთან დაკავშირებით										x			2023 წლის 22 ოქტომბერს თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ, იპოდრომზე გაიმართა მესაქონლეობის გამოფენა - „მესაქონლეობის ექსპო - Cattle Expo 2023“. გამოფენის მიზანი იყო ქვეყანაში რძის ინდუსტრიის განვითარება, მაღალპროდუქტიული და ადგილობრივი სელექციური მსხვილფეხა საქონლის ჯიშების პოპულარიზაცია და მესაქონლეობის სექტორის განვითარების ხელშეწყობა. ღონისძიებაზე მიწვეული იყო კოლეჯი ამაგი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტი თეიმურახ ქრისტესიაშვილი ღონისძიებაზე კომპანია სანტემ 500 ლარით დააჯილდოვა. ღონისძიება განხორციელდა საქართველოს მეცხოველეობის სანაშენე საქმის ასოციაციის და შვეიცარიული აგრარული სკოლა კავკასიის ორგანიზებით. ღონისძიების პარტნიორია ამერიკის სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მიერ დაფინანსებული პროექტი „ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში", რომელსაც ახორციელებს Land O'Lakes Venture37 საქართველოს ფერმერთა ასოციაციასთან პარტნიორობით.	შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათები
	4.5. კარიერული სერვისების განვითარება პროფესიული სტუდენტებისთვის/ მსმენელებისთვის	რეგიონის მაშტაბით დამსაქმებლების მოძიება და შეხვედრები				X	X				X	X			7 ივნისს კოლეჯისფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული სტუდენტები შეხვდნენ კომპანია ჰუმანას წარმომადგენელს. 27 აპრილს კოლეჯში ამაგი	ჩატარებული ღონისძიება; ფოტო მასალა; სამსახ. ბარათი 4077 სამსახ. ბარათი 2511

	მათი კონკურენტუნარიანობის შენარჩუნების მიზნით	ს უზრუნველყოფა													პროფესიული სტუდენტებისთვის გაიმართა შეხვედრა პრაქტიკის ობიექტის ხელმძღვანელებთან და დამსაქმებლებთან. 9 თებერვალს, კოლეჯში ჩატარდა სომატოლოგთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილო ღონისძიება, სადაც პროფესიული განათლების სტუდენტებს მიეცათ საშუალება შეხვედროდნენ საქართველოს მასშტაბით არსებულ სხვადასხვა სტომატოლოგიური კლინიკის წარმომადგენლებს შემდგომში დასაქმების პერსპექტივით. 05.04.23-07.04.23. საქართველოს საპატრიარქოს გორისა და ატენის ეპარქიასთან არსებული წმინდა იოანე მოწყალის სახელობის საქველმოქმედო ცენტრს, ა(ა)იპ ჰოსპისი ფერისცვალებასა და ქ. გორის შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ამაგი“-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, კოლეჯი ამაგის შენობაში ჩატარდა სამ დღიანი ტრენინგი სადაც მონაწილეობას იღებდნენ კურსდამთავრებულები და აქტიური სტუდენტები, შემდგომში დასაქმების პერსპექტივით.20.03.23-22.03.23.	
		ღია კარის დღეების ორგანიზება								X	X				კოლეჯში გაიმართა ღია კარის დღე; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა აპლიკანტებს გააცნეს ტესტირებისთვის საჭირო ინფორმაცია. ასევე აპლიკანტები უფრო დეტალურად გაეცნენ კოლეჯში არსებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. 30 მარტს კოლეჯს სტუმრობდა სოფელ მეჯვრისხევის (საზღვრისპირა) სკოლის მოსწავლეები. მოსწავლეები გაეცვნენ პროფესიულ პროგრამებს. საშუალება მიეცათ შეხვედროდნენ და ესაუბრათ დარგის სპეციალისტებთან, ჩაატარეს ცდები ლაბორატორიაში, პირველადი დახმარება აღმოუჩინეს პაციენტს.	შეხვედრის ამსახველი ფოტოსურათები
		კურსდამთავრებულზე ზრუნვა- მათი დასაქმების პერსპექტივები		X			X			X			X		კოლეჯი მუდმივ რეჟიმში ცდილობს მოიძიოს და განაახლოს უკვე არსებული მემორანდუმები სხვადასხვა კომპანიებთან, მათ შორის კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივის მიზნით. 2023 წელს გაფორმდა საქართველოს საპატრიარქოს გორისა და ატენის ეპარქიასთან არსებული წმინდა იოანე მოწყალის სახელობის საქველმოქმედო ცენტრს, ა(ა)იპ ჰოსპისი ფერისცვალებასა და ქ. გორის შპს საზოგადოებრივ	გაფორმებული მემორანდუმები; ფაქტობრივი მდგომარეობა; ფოტომასალა; სამსახ. ბარათი 3041

														კოლეჯ „ამაგი“-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.ასევე სტომატოლოგიურ დაწესებულებასთან მოხდა მემორანდუმის გაფორმება შემდგომში კურსდამთავრებულთა დასაქმების პერსპექტივის მიზნით საქართველოს საპატრიარქოს გორისა და ატენის ეპარქიასთან არსებული წმინდა იოანე მოწყალის სახელობის საქველმოქმედო ცენტრს, ა(ა)იპ ჰოსპისი ფერისცვალებასა და ქ. გორის შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ამაგი“-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, კოლეჯი ამაგის შენობაში ჩატარდა სამ დღიანი ტრენინგი სადაც მონაწილეობას იღებდნენ კურსდამთავრებულები და აქტიური სტუდენტები, შემდგომში დასაქმების პერსპექტივით. დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს წარმომადგენლებმა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. პროფესიული სტუდენტები გაეცნენ სახელმწიფო სერვისებს, დასაქმებისა და კარიერული გაძლიერების შესაძლებლობებს, რომლებსაც სააგენტო სთავაზობს. საინფორმაციო შეხვედრაზე გაიმართა დისკუსია, პროფესიულ სტუდენტებს მიეცათ შესაძლებლობა ჩართულიყვნენ პროცესში და დაესვათ მათთვის საინტერესო კითხვები. სააგენტოს წარმომადგენლებმა პროფესიული სტუდენტებს მიმდინარე ვაკანსიები შესთავაზეს და დაარეგისტრირეს დასაქმების პორტალზე.	
4.6 სსსმ პირებისთვის სერვისების გაუმჯობესება	სსსმ და შშმ პირთა კონსულტირება (არსებობის და საჭიროების შემთხვევაში)									X	X	X	X	შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგში 2023 წლის მონაცემებით კოლეჯში არ ირიცხება სსმ და შშმ პირი შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული განათლების მასწავლებელმა, ფსიქოლოგმა - მაია ჩადუნელმა ჩაატარა ონლაინ ტრენინგი კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის, სადაც დეტალურად ისაუბრა თუ როგორ უნდა შევქმნათ პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში სსმ და შშმ პირთა მიმართებაში.	ჩარიცხვის დოკუმენტაცია
4.7 პროფორიენტაციის ღონისძიებების განხორციელება	სკოლის მოსწავლეებისათვის კოლეჯის პროფესიული			X	X	X	X							30 მარტს კოლეჯს სტუმრობდა სოფელ მეჯვრისხევის (საზღვრისპირა) სკოლის მოსწავლეები. მოსწავლეები გაეცვნენ პროფესიულ პროგრამებს. საშუალება მიეცათ შეხვედროდნენ და ესაუბრათ დარგის სპეციალისტებთან,	ჩატარებული ღონისძიება, ფოტო მასალა.

		საგანმანათ ლებლო პროგრამები ს გაცნობა													ჩაატარეს ცდები ლაბორატორიაში პირველადი დახმარება აღმოუჩინეს პაციენტს. 20 აპრილს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს სტუმრობდა ქალაქ გორის N9 საჯარო სკოლის მოსწავლეები. მოსწავლეები გაეცვნენ პროფესიულ პროგრამებს. საშუალება მიეცათ შეხვედროდნენ და ესაუბრათ დარგის სპეციალისტებთან, ჩაატარეს ცდები ლაბორატორიაში, პირველადი დახმარება აღმოუჩინეს პაციენტს. 29 აპრილს, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრის მიერ ორგანიზებული იყო (EDEC), ევროკავშირის მხარდაჭერილი პროგრამა „უნარები დასაქმებისათვის“ პროფესიული უნარების დღის ღონისძიება ემსახურებოდა ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაციის ხელშეწყობას . ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს შიდა ქართლის უფროსკლასელებმა მე-9 მე 10 მე 11 მე-12 კლასის მოსწავლეებმა. კოლეჯი ამაგის წარმომადგენლებმა გააცნეს მოსწავლეებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები ; საექთნო განათლება, ვეტერინარია, ფარმაცია (სააფთიაქო), დენტალური საქმის ასისტირება (სტომატოლოგის ასისტენტი სკოლის მოსწავლეებისათვის კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაცნობის მიზნით, 23 მაისს კოლეჯს ეწვია გორის მუნიციპალიტეტის სოფელ პატარა გარეჯვრის საჯარო სკოლის უფროსკლასელთა ჯგუფი.მოსწავლეები გაეცვნენ პროფესიულ პროგრამებს. საშუალება მიეცათ შეხვედროდნენ და ესაუბრათ დარგის სპეციალისტებთან, ჩაატარეს ცდები ლაბორატორიაში, პირველადი დახმარება აღმოუჩინეს პაციენტს. 13 ივნისს შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ამაგს სტუმრობდა ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ მუხრანას საჯარო სკოლის მოსწავლეები მოსწავლეები გაეცვნენ პროფესიულ პროგრამებს. საშუალება მიეცათ შეხვედროდნენ და ესაუბრათ დარგის სპეციალისტებთან, ჩაატარეს ცდები ლაბორატორიაში, პირველადი დახმარება აღმოუჩინეს პაციენტს	
მიზანი	**ამოცანა**	**აქტივობა**	**თვეები**												**ინდიკატორი**	
			I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII		

5. ადამიანური რესურსების განვითარება	5.1დაწესებულების მართვის სისტემის განვითარება და ამოცანების ეფექტურად შესრულება	ადამიანური რესურსის საჭიროებებზე მორგებული ტრენინგების ორგანიზება		X	X	X	X	X	X		X	X	X	X	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ადმინისტრაციული პერსონალისათვის ჩატარდა პერსონალის მართვის 2023 წლის(შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანება N638 (27.01.2023) სამოქმედო გეგმის შესაბამისად შემდეგი სახის ტრენინგები რომელიც განხორციელდა გეგმის შესაბამისად: 1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი. ხარისხის კულტურა საგანმანათლებლო დაწესებულებაში (21.03.23) 2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი. პსდ-ების ავტორიზაციის სტანდარტები(08.04,23) 3. პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში(21-22 .06.23) 4. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში(07-21.07.23)	პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N3760 (12.04.2023); ფოტოები, დასწრების ფურცელი, სერტიფიკატები შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N16667 (27.12.2023) პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N2641 (23.03.2023); სქრინები; სერტიფიკატები პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N6267(27.06.2023); ფოტოები; დასწრების ფურცლები; სერტიფიკატები პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N7314(24.07.2023); სქრინები; ფოტოები, დასწრების ფურცელი, სერტიფიკატები
		შრომოის უსაფრთხოების სპეციალისტის შეხვედრა თანამშრომლებთან თემაზე უსაფრთხო			x							x			შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის მიერ შედგა შეხვედრა პროფესიულ განათლების მასწავლებლებთან თემაზე უსაფრთხო სასწავლო გარემო, ინსტრუქტაჟი კოლეჯის საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის და უსაფრთხო სამუშაო გარემოს შესახებ, 2023 წლის 1 აპრილს ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა 53 პროფესიულ მასწავლებელს და კოლეჯის ადმინისტრაციის 19	ინსტრუქტაჟების აღრიცხვის ჟურნალები ჩატარებული ღონისძიება, ფოტო მასალა,

		სასწავლო გარემო												თანამშრომელს, 2023 წლის 1 ოქტომბერს ინსტრუქტაჟი ჩაუტარდა 51 პროფესიულ მასწავლებელს და კოლეჯის ადმინისტრაციის 20 თანამშრომელს,	
	5.2. პროფესიული განათლების მასწავლებლების განვითარება	კვლევის შედეგად გამოვლენილი პროფესიული განათლების მასწავლებელთათვის/ ინსტრუქტორებისთვის საჭირო ტრენინგების ორგანიზება		X	X	X	X	X	X		X	X	X	X	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის ჩატარდა პერსონალის მართვის 2023 წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად შემდეგი სახის ტრენინგები: 1.შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი. საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენება სწავლების პროცესში (14 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით ჩატარდა ტრენინგი „საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხო გამოყენება სწავლების პროცესში“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული განათლების 20 მა მასწავლებელმა. ტრენინგი ჩაატარა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის IT მენეჯერმა გიორგი საზანდრიშვილმა.) 2. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი. ცოფი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი(14 მარტს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში ჩატარდა ვეტერინარიის დარგის სპეციალისტთა ტრენინგი თემაზე "ცოფი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი". ტრენინგი ჩაატარა დარგის სპეციალისტმა - ლაშა ავალიანმა.) 3. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი. ხარისხის კულტურა საგანმანათლებლო დაწესებულებაში(21 მარტს ჩატარდა ონლაინ ტრენინგი „ხარისხის კულტურა საგანმანათლებლო დაწესებულებაში“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული განათლების 22 -მა მასწავლებელმა და სასწავლო პროცესის მენეჯერმა. ტრენინგი ჩაატარა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის მოწვეულმა ტრენერმა თამარ რემიშვილმა.) 4. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი. პსდ-ების ავტორიზაციის სტანდარტები (08 აპრილს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის შენობაში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „პროფესიული საგანმანათლებლო	შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის დირექტორის ბრძანება N638 (27.01.2023) პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N2090 (07.03.2023) ფოტოები, დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N2380 (16.03.2023); ფოტოები, დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N2641 (23.03.2023); სქრინები; სერტიფიკატები პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N4328 (02.05.2023); ფოტოები, დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N3760 (12.04.2023); ფოტოები, დასწრების ფურცელი, სერტიფიკატები პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N5010 (19.05.2023); ფოტოები, დასწრების ფურცელი, სერტიფიკატები პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N5304 (31.05.2023); სქრინები; სერტიფიკატები პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N6267(27.06.2023); ფოტოები; დასწრების ფურცლები; სერტიფიკატები პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N7314(24.07.2023); სქრინები;

															დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები“. ტრენინგში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის პროფესიული განათლების 24-მა მასწავლებელმა. ტრენინგი ჩაატარა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში მოწვეულმა ტრენერმა მანანა მახარაშვილმა) 5. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი. სტომატოლოგიური კლინიკის სახელმწიფო სტანდარტი და სტომატოლოგის ასისტენტის პროფესიული უნარები(19 აპრილს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში ონლაინ ჩატარდა სტომატოლოგიის დარგის სპეციალისტთა ტრენინგი თემაზე „სტომატოლოგიური კლინიკის სახელმწიფო სტანდარტი და სტომატოლოგის ასისტენტის პროფესიული უნარები". ტრენინგი ჩაატარა დარგის სპეციალისტმა - შორენა ფერხულმა.) 6. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი. საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება და როლი სწავლების პროცესში(23 მარტიდან 28 აპრილის ჩათვლით ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგების ციკლი (სულ 8 შეხვედრა, 16 საათი), რომლის სახელწოდებაც იყო „საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება და როლი სწავლების პროცესში“. ტრენინგი განკუთვნილი იყო პროფესიული განათლების იმ მასწავლებლებისათვის, რომელთაც ჰქონდათ კომპიუტერული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების საჭიროება) 7. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი. სიახლეები ფარმაცევტულ დაწესებულებებში და ბენეფიტები მომხმარებელთან ურთიერთობისას(2023 წლის 17 მაისს ჩატარდა ფარმაციის დარგის პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი, რომლის სახელწოდებაც იყო „სიახლეები ფარმაცევტულ დაწესებულებებში და ბენეფიტები მომხმარებელთან ურთიერთობისას“.	ფოტოები, დასწრების ფურცელი, სერტიფიკატები პროფესიული განათლების მასწავლებლის ლალი სრესელის განცხადება N7582 (28.07.2023); სერტიფიკატი; მივლინების ფურცელი პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N9850 (02.10.2023); სქრინები; სერტიფიკატები შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N13697 (02.11.2023) ფოტოები; დასწრების ფურცელი; სერტიფიკატები შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პერსონალის მართვის მენეჯერის სამსახურეობრივი ბარათი N14273; (13.11.2023) ფოტოები; დასწრების ფურცლები; სერტიფიკატები

															ტრენინგი ჩაატარა დარგის მოწვეულმა სპეციალისტმა გვანცა კარელიძემ) 8. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგი. პროფესიული დაავადებების უსაფრთხოების მართვა, უსაფრთხო სისხლი (დონორობა), კლინიკური ტრანსფუზიოლოგიის სიახლეები.(2023 წლის 29 მაისს ჩატარდა საექთნო განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელთა დარგობრივი ტრენინგი შემდეგ თემებზე: „პროფესიული დაავადებების უსაფრთხოების მართვა, უსაფრთხო სისხლი (დონორობა) და კლინიკური ტრანსფუზიოლოგიის სიახლეები“. ტრენინგი ჩაატარა დარგის მოწვეულმა სპეციალისტმა ნანა წულუკიძემ) 9. ექოსკოპიის პრაქტიკული გამოყენება საქონლის რეპროდუქციისას (2023 წლის 8-16 ივნისს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში ჩატარდა ვეტერინარიის დარგის სპეციალისტთა ტრენინგი თემაზე „ექოსკოპიის პრაქტიკული გამოყენება საქონლის რეპროდუქციისას". ტრენინგი ჩაატარა დარგის სპეციალისტმა - ამირან კოჩალიძემ) 10. პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში(2023 წლის 21-22 ივნისს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი თემაზე „პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში“. ტრენინგი ჩაატარა ფსიქოლოგმა, მოწვეულმა ტრენერმა ანა ხუტიაშვილმა) 11. კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში (შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პერსონალის მართვის გეგმის შესაბამისად, 2023 წლის 07 ივლისიდან 21 ივლისის ჩათვლით ჩატარდა ტრენინგების ციკლი პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პრაქტიკის ინსტრუქტორებისათვის. ტრენინგს უძღვებოდა მოწვეული ტრენერი - თამარ რემიშვილი.)	

															12. სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები (27-28 სექტემბერს პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ჩატარდა ორდღიანი ტრენინგი თემაზე „სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები“. ტრენინგი ჩაატარა მოწვეულმა ტრენერმა თამარ რემიშვილმა) 13. პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებები(შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პერსონალის მართვის გეგმის შესაბამისად, 2023 წლის 10 ოქტომბერს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელმა, ფსიქოლოგმა - მაია ჩადუნელმა) 14. კლიმატური ცვლილებების გავლენა მეცხოველეობაზე(30 ოქტომბერს შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგში ჩატარდა კომპანია „როქსის“ მიერ ორგანიზებული საინფორმაციო სემინარი ვეტერინარიის საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიული მასწავლებლების, პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულებისათვის. სემინარი შეეხო შემდეგ საკითხებს: გლობალური დათბობის გავლენა მეცხოველეობაზე, კლიმატური ცვლილებების გავლენა წველადობასა და პროდუქტიულობაზე, მათი გადაჭრის გზები, ახალშობილი ხბოს გამოზრდა და რეკომენდაციები კლიმატთან დაკავშირებული გამოწვევების ფონზე, ცურის მოვლა და რძის ჰიგიენის გაუმჯობესება გარეგანი ფაქტორების გათვალისწინებით) 15. საქონლის ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკა სქესდიფერენცირებული სპერმის გამოყენებით(ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მიერ დაფინანსებული პროექტის "ინვესტირება უვნებელ და ხარისხიან მესაქონლეობაში" ფარგლებში, კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციის Land O’Lakes Venture37 მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგი ხელოვნური განაყოფიერების შესახებ დარგის სპეციალისტებისათვის „საქონლის ხელოვნური განაყოფიერების ტექნიკა სქესდიფერენცირებული სპერმის გამოყენებით“,)	

															16. საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება და როლი სწავლების პროცესში(2023 წლის 17 ოქტომბრიდან 09 ნოემბრის ჩათვლით კოლეჯის ბაზაზე მიმდინარეობდა პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგი „საინფორმაციო ტექნოლოგიების აქტიური გამოყენება და როლი სწავლების პროცესში“, კერძოდ ელ. ჟურნალის ადმინისტრირება. ჩატარდა სულ 8 ტრენინგი, რომელსაც უძღვებოდა ამავე კოლეჯის ინფორმაციული წიგნიერების პროფესიული განათლების მასწავლებელი იამზე გოჩაშვილი.)	